პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 158 (11769)

შაბათი, 9 ივლისი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი განამტკიცებს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მეგობრობას

მოსკოველები გულითადად მიესალმებიან ნ. ს. ხრუშჩოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელმწიფო ვიზიტი ავსტრიაში დამთავრდა. სტუმართმოყვარე ქვეყანაში ცხრა დღის ყოფნის შემდეგ 8 ივლისს იგი თანმხლები პირებითურთ მოსკოვს დაბრუნდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი იქ იმყოფებოდა ავსტრიის მთავრობის მიწვევით. ამ ვიზიტმა ავსტრიელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ისინი განსაკუთრებული გულითადობით შეხვდნენ საბჭოთა პრემიერს, რომელმაც ახალი შესანიშნავი წვლილი შეიტანა მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ვნუკოვოს აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაურს შეხვდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები და სხვა ოფიციალური პირები, მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად დაბრუნდნენ მისი ოჯახი და მოგზაურობისას მისი თანმხლები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ხელი ჩამოართვა საბჭოთა ხელმძღვანელებს, უცხოელ დიპლომატებს. შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი მივიდა მოსკოველებთან. გაისმა ხმამაღალი შეძახილები „ვაშა“, „კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება, ნიკიტა სერგის-ძე!“ (საკდესი).



ავსტრიელი მაღაროელები გულთბილად, მეგობრულად მიეხალმებიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს. ფოტო კ. ტოლსტიკოვისა.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ერთობლივი კომუნიკე

ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტის დოქტორ ა. შერფის, აგრეთვე ფედერალური კანცლერის ინჟინერ ი. რაბბისა და ვიცე-კანცლერის დოქტორ ბ. პიტერმანის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა 1960 წლის 30 ივნისიდან 8 ივლისამდე. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ს. ა. სტეპანოვი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ვ. ი. ავილოვი და სხვა ოფიციალური პირები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვედრები და საუბრები ჰქონდა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ პრეზიდენტთან დოქტორ ა. შერფთან, ფედერალურ კანცლერთან ინჟინერ ი. რაბბთან, ვიცე-კანცლერთან დოქტორ ბ. პიტერმანთან და ავსტრიის მთავრობის სხვა წევრებთან. საუბრებში მონაწილეობდნენ აგრეთვე ავსტრიის ელჩი სსრ კავშირში დოქტორი ვ. ჰაიმერლე, ხელმძღვანელი თანამშრომლები და ექსპერტები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბრებში მონაწილეობდნენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ს. ა. სტეპანოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. ბორისოვი, სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ვ. ი. ავილოვი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მესამე განყოფილების გამგე ი. ი. ილიჩოვი.

როგორც ვენაში, ისე ავსტრიის პროვინციებში — ქვემო ავსტრიაში, ზემო ავსტრიაში, ზალცბურგში, კარინთიასა და შტირიაში — მოგზაურობის დროს სსრ კავშირის მთავრობის მეთაურს, რომელსაც ახლდა ფედერალური კანცლერი ინჟინერი ი. რაბბი, შესაძლებლობა ჰქონდა გასცნობოდა მთელ რიგ სამრეწველო, კულტურულ, სასოფლო-სამეურნეო და საზოგადოებრივ საწარმოებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე დაეთვალიერებინა ავსტრიის ტურიზმის ადგილები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო მიტინგში, რომელიც ავსტრიის მხარემ გამართა ყოფილ მაუტჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში. მიტინგს დაესწრნენ ფედერალური კანცლერი ინჟინერი ი. რაბბი, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე დოქტორი ლ. ფიგლი და ვიცე-კანცლერი დოქტორი ბ. პიტერმანი, შინაგან საქმეთა მინისტრი ი. აფრიჩი და შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს სტატს-მდივანი ფ. გრუბჰოფერი, აგრეთვე ავსტრიის წინააღმდეგობის მებრძოლთა და საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პატიმართა დელეგაციები. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გვირგვინებით შეამკო ძეგლები.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის თანმხლებ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ პირადად დარწმუნებულიყვნენ, თუ რა აღდგენითი მუშაობა განხორციელებულა ავსტრიაში ომის დამთავრების შემდეგ და რა ეკონომიური განვითარებისათვის მიუღწევია მას სახელმწიფო ხელშეკრულების დადების შემდეგ. ისინი მეგობრულად მიიღეს ხელისუფლებმა და მოსახლეობამ.

საუბრები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვსა და ავსტრიის ფედერალური მთავრობის წევრებს შორის ფედერალური კანცლერის ინჟინერ ი. რაბბის მეთაურობით მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ორივე მხარემ ერთსულოვნად აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების აღიარება, მიუხედავად სახოგადოებრივი სისტემებისა და იდეოლოგიურ შეხედულებათა განსხვავებისა, ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებლად ვითარდებოდა, ურთიერთპატივისცემისა და ერთიმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ბაზაზე. ორივე სახელმწიფოს შორის არ არსებობს გადაუჭრელი პოლიტიკური პრობლემები.

საუბრების დროს განიხილეს ორივე ქვეყანას შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების საკითხები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და ავსტრიას შორის ვაჭრობა კეთილსასურველად ვითარდება, რასაც ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელშეკრულების, საქონელბრუნვისა და გადასახდელთა შესახებ 1955 წლის 17 ოქტომბრის შეთანხმებისა და გრძელვადიანი შეთანხმების დადებამ სსრ კავშირისა და ავსტრიის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ 1959-1960 წლებისათვის.

ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ორივე სახელმწიფოს შორის საგაჭრო ურთიერთობის გაფართოება შეესაბამება ორივე მხარის ინტერესებს.

აღინიშნა, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები გაიდიდებენ ავსტრიაში ისეთი საქონლის ექსპორტს, როგორიც არის ქვანახშირი, რკინის მადანი, მარგანეცისა და ქრომის მადანი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მარცვლეული, ბამბა, მანქანები და მოწყობილობა და მთელი რიგი სხვა საქონელი და შესაბამისად გაადიდებენ ავსტრიის ისეთი საქონლის შესყიდვას, როგორიც არის შავი ლითონების ნაგლინი, კაბელის ნაკეთობანი, ფოლადის გვარლი, სხვადასხვა სახეობის მანქანები და მოწყობილობა, აგრეთვე ნიტროლაქები, ნათალი ფანერა, ხელოვნური აბრეშუმის ნართი და ქსოვილები, გამოყვანილი ტყავი, ფეხსაცმელი და სხვა საქონელი, რათა უახლოეს წლებში ვაჭრობა ორივე ქვეყანას შორის არსებითად გადიდდეს. ამ მიზნით მხარეები შეთანხმდნენ, რომ დადონ ახალი გრძელვადიანი შეთანხმება საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 5 წლის ვადით.

გადაწყდა, რომ 1960 წლის სექტემბერში მოეწყობა მოლაპარაკება ორივე ქვეყნის სავაჭრო დელეგაციებს შორის, რათა შეათანხმონ აღნიშნული პერიოდისათვის ურთიერთმისაწოდებელი საქონლის სიები.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1961 წლის ივლისში თავდება ავსტრიის საქონლის მიწოდება იმ სამრეწველო საწარმოების სანაცვლოდ, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ავსტრიას გადასცა, საბჭოთა მხარემ გამოთქვა თანხმობა შეისყიდოს მომავალში ასეთივე საქონელი სავაჭრო შეთანხმებით იმ პირობით, რომ ავსტრიამ შესაბამისად გაადიდოს საბჭოთა საქონლის შესყიდვა. დათქმულ იქნა, რომ პრაქტიკული ღონისძიებანი ამის თაობაზე განხილულ იქნება მომავალი მოლაპარაკების დროს საქონლის ურთიერთმიწოდების ახალი გრძელვადიანი შეთანხმების დადების შესახებ.

ორივე მხარემ კვლავ ხაზი გაუსვა იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ურთიერთობაში უმეტესი მფარველობის პრინციპის შენარჩუნებას, რაც აღნიშნულია საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოქმედი ხელშეკრულებით ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ.

ავსტრიაში საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს განხილულ იქნა საკითხი ავსტრიისათვის გადაცემულ ნავთობის საწარმოთა სანაცვლოდ ავსტრიის ნავთობის მიწოდების შესახებ.

ამასთან მხარეებმა აღნიშნეს, რომ ეს მიწოდებანი ხორციელდება არსებულ შეთანხმებებთან სრული შესაბამისობით.

ამ საკითხის განხილვის შედეგად საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა ორივე ქვეყანას შორის ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობა, დათანხმდა დააკმაყოფილოს ავსტრიის მთავრობის თხოვნა და მხარეებმა გადაწყვიტეს:

ა) შეწყდეს 1961 წლის ივლისიდან ავსტრიაში ყოველწლიურად 500.000 ტონა საბჭოთა ნავთობის მიწოდება. ხოლო ავსტრია, თავის მხრივ, შეუწყვეტს საბჭოთა კავშირს ყოველწლიურად 500.000 ტონა თავისი ნავთობის მიწოდებას, რასაც ორივე მხარე ახორციელებს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის 1958 წლის 24 ივლისის კომუნიკეს შესაბამისად.

ბ) აგრეთვე გადაწყდა, რომ მიწოდება დანარჩენი რაოდენობის ნავთობისა, რომელსაც ავსტრია აწვდის საბჭოთა კავშირს 1955 წლის 12 ივლისის შეთანხმებისა და საბჭოთა კავშირ-ავსტრიის 1958 წლის 24 ივლისის კომუნიკეს მიხედვით 500.000 ტონის ოდენობით ყოველწლიურად, შეწყდება 1964 წლის ივლისიდან, ესე იგი დათქმულ ვადაზე ერთი წლით ადრე. კულტურის საკითხებზე საუბრების დროს გამოირკვა, რომ კულტურული გაცვლა, რაც დღემდე ხდებოდა, სავსებით შეესაბამება ორივე მხარის სურვილებსა და მოლოდინს.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ ესწრაფვიან კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის შემდგომ გაფართოებას და გამოთქვეს თანხმობა წაახალისონ ყოველი ინიციატივა, რომლის მიზანია ორივე ქვეყანას შორის კულტურული დაახლოება, ხელი შეუწყონ კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა ურთიერთმოგზაურობასა და შეხვედრებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ფედერალური მთავრობის წევრებთან საუბრების მსვლელობაში განმარტა სსრ კავშირის პოზიცია საერთაშორისო პოლიტიკის გადაუჭრელი პრობლემების შესახებ.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ავსტრიის მუდმივი ნეიტრალიტეტი დადებითი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი პატივს სცემს ავსტრიის ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას.

ორივე მხარე თანახმაა, რომ საყოველთაო სრული და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღება თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემაა. ისინი მიიღებენ მათზე დამოკიდებულ ყველა ღონისძიებას, რათა განიარაღების საკითხი დადებითად გადაიჭრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს ომის საფრთხის აღმოფხვრას და გაათავისუფლებს ხალხებს გამალებულ შეიარაღებასთან დაკავშირებული სიძნელეებისაგან.

მხარეები დარწმუნებული არიან, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გააცნო ავსტრიის მთავრობას საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის გადაჭრის საკითხში.

დასასრულ ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა ავსტრიაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის წარმატების გამო, რაც დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის და საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეში, განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა ხალხსა და ავსტრიელ ხალხს შორის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ხრუშჩოვი

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი
ი. რაბბი

ავსტრიის რესპუბლიკის ვიცე-კანცლერი
ბ. პიტერმანი

ვენა, 1960 წლის 8 ივლისი.

ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია ვენაში

ვენა, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს ვენაში ჰოფბურგის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია.

ჰოფბურგის სასახლის დიდ დარბაზში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ასობით ჟურნალისტი შეიკრიბა.

დამსწრენი ფეხზე მდგომნი, მქუხარე ტაშით შეხვდნენ დარბაზში ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ნ. კოსიგინის, ე. ა. ფურცევას, ა. ა. გრომიკოსა და ნ. ს. ხრუშჩოვის სხვა თანმხლები პირების გამოჩენას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პრესის წარმომადგენლებს მიმართა შემდეგი შესავალი სიტყვით:

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ბატონებო, ამხანაგებო, მეგობრებო!

ჩვენ თქვენთან, ჟურნალისტებთან ერთად, ჩვეულებად გადაგვექცა სასაუბროდ შევხვდეთ ყოველთვის, როცა მე სტუმრად ვეწვევი ხოლმე ამა თუ იმ ქვეყანას. ასევე უნდა მოვიქცეთ ამჯერადაც.

ავსტრიაში ჩვენი ყოფნა მთავრდება, და მე მინდოდა მესარგებლნა დღევანდელი შეხვედრით, რათა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ავსტრიის შთაბეჭდილებებზე, იმ შეხვედრებსა და საუბრებზე, რომლებიც ჩვენ გვქონდა აქ ავსტრიის სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან — ფედერალურ პრეზიდენტ შერფთან, ფედერალურ კანცლერ რაბბთან, ვიცე-კანცლერ პიტერმანთან, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ფიგლთან და ავსტრიის სხვა ოფიციალურ პირებთან.

ჩვენ ავსტრიაში ყველგან კარგად გვხვდებოდნენ. მოგზაურობის დროს ჩვენ დავათვალიერეთ რამდენიმე თანამედროვე სამრეწველო საწარმო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცენტრი, კულტურის დაწესებულებანი. ჩვენ ბევრი რამ საინტერესო და, მე ვიტყოდი, სასარგებლო ვნახეთ.

ჩვენს ქვეყნებს, მიუხედავად მათი ყოველი განსხვავებისა, შეუძლიათ ისწავლონ ერთმანეთისაგან, აქვთ იმის საფუძველი, რომ განავითარონ ურთიერთთანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

ჩვენ აგვაღელვა იმ გულითადობამ, რომლითაც ავსტრიელები გვხვდებოდნენ. ასეთი გულითადი მიღება მე მიმაჩნია, როგორც ავსტრიელი ხალხის მეგობრული გრძნობათა გამოხატულება ჩვენი ქვეყნისადმი.

მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციის, საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან საუბრების დროს ჩვენ შეგვეძლო ერთხელ კიდევ დავრწმუნებულიყავით, რომ ავსტრიელი ხალხის დიდი უმრავლესობა იწონებს და მხარს უჭერს ავსტრიის მიერ არჩეული ნეიტრალიტეტის გზას, გულწრფელად ცდილობს საბჭოთა კავშირთან და სხვა ქვეყნებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. ავსტრიის მთავრობა და ავსტრიელი ხალხი მტკიცედ იბრძვიან თავიანთი ქვეყნის ნეიტრალური სტატუსის დაცვისათვის, რაც შეესაბამება ავსტრიის ეროვნულ ინტერესებს, ევროპის მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებს.

თქვენ, ალბათ, გსურთ მალე გაიგოთ ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებთან ჩვენი მოლაპარაკების შედეგები. უნდა ვთქვა, რომ ჩვენს შორის გაიმართა აზრთა საფუძვლიანი გაზიარება. საუბრების დროს ჩვენ განვიხილეთ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები. მიღწეულია შეთანხმება, რომ მომავალშიც განმტკიცდეს ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული და კეთილმეზობლური დამოკიდებულება, განვითარდეს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა.

ჩვენ აგრეთვე ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო საკითხების თაობაზე, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნებისათვის. აზრთა ურთიერთგაცვლა სასარგებლო იყო.

ჩვენი მოლაპარაკების შედეგებზე უფრო სრულ ცნობებს თქვენ ნახავთ კომუნიკეში, რომელიც უახლოეს ხანში გამოქვეყნდება.

რამდენადაც მე მხოლოდ საბჭოთა კავშირის მხარეს წარმოვადგენ, მისი სახელით შემიძლია ვთქვა, რომ კმაყოფილი ვართ გამართული მოლაპარაკების შედეგებით. ავსტრიის რესპუბლიკის სახელმწიფო ხელმძღვანელებთან ჩვენმა საუბრებმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაადასტურეს, რომ შესაძლებელი და აუცილებელია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და ურთიერთგაგება.

შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ როგორც საბჭოთა ხალხი, ისევე ავსტრიელი ხალხიც კმაყოფილი დარჩება საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკების შედეგებით.

ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, ავსტრიაში ჩვენი ვიზიტის ძირითადი შედეგები. საბჭოთა მთავრობა თავის ძირითად საგარეო პოლიტიკურ ამოცანად ისახავს — მომავალშიც მტკიცედ მიაღწიოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, განავითაროს ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე. ცხადია, ჩვენ გადაჭრით საკადრის პასუხს გავცემთ სამხედრო პროვოკაციის ყოველგვარ ცდას ამა თუ იმ ქვეყნის აგრესიული წრეების მხრივ.

დასასრულ მინდა ჩემი სახელითა და ავსტრიაში ჩემი თანმხლები ყველა ამხანაგის სახელით უღრმესი მადლობა გადავუხადო ფედერალურ პრეზიდენტს ბატონ შერფს, ფედერალურ კანცლერს ბატონ რაბბს, ვიცე-კანცლერს ბატონ პიტერმანს, მთელ ავსტრიელ ხალხს გულწრფელი გულითადობისა და გულისხმიერი სტუმართმოყვარეობისათვის, ჩვენს მიმართ გამოვლინებული ზრუნვისა და ყურადღებისათვის.

ახლა მე თქვენს განკარგულებაში ვარ. როგორც მითხრეს, ზოგიერთმა კორესპონდენტმა, რომლებიც თან მახლდნენ ავსტრიაში მოგზაურობის დროს, უკვე გამოგზავნა მთელი რიგი შეკითხვები. მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის, რათა თქვენ აქ ზეპირად ან წერილობით მომცეთ სხვა შეკითხვებიც, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა კორესპონდენტთა მრავალ შეკითხვას.

დარბაზობა ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად საბჭოთა კავშირის ვენის საელჩოში

ვენა, 7 ივლისი. (საკდესი). ავსტრიაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის აღსანიშნავად სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ავსტრიაში ვ. ი. ავილოვმა დღეს დიდი დარბაზობა გამართა. საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ს. ა. სტეპანოვი და სხვა პირები.

ავსტრიის მხრივ დარბაზობაზე მოვიდნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ა. შერფი, ფედერალური კანცლერი ი. რაბბი, ვიცე-კანცლერი ბ. პიტერმანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. კრეისკი. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ლ. ფიგლი, ავსტრიის მინისტრები და პარლამენტის დეპუტატები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები. დარბაზობაზე საბჭოთა კავშირის საელჩოში მოვიდნენ აგრეთვე ვენაში აკრედიტებული თითქმის ყველა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ჟუკოვი, სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ს. ა. სტეპანოვი და სხვა პირები.

დარბაზობის დასაწყისში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. შერფის შეხვედრისას შესრულებულ იქნა ავსტრიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. ამის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა ავსტრიული კლასიკის მუსიკალური ნაწარმოებნი. სტუმრები გულთბილად მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და მის მეუღლეს. ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ავსტრიის ბევრ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს.

დარბაზობამ განსაკუთრებით გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კომუნიკეს

ვენა, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს დილის 9 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ვენაში მთავრობის შენობაში ბალკაუზპლატცზე ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ერთობლივ კომუნიკეს. კომუნიკეს ტექსტს ხელი მოაწერეს საბჭოთა მთავრობის სახელით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ავსტრიის მთავრობის სახელით ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ინჟინერმა ი. რაბბმა და ვიცე-კანცლერმა ბ. პიტერმანმა.

აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელებისა და აგიტატორთა რესპუბლიკური თათბირი

8 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციათა, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა და მოწინავე აგიტატორთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა დაახლოებით 600 კაცი. თათბირმა განიხილა საგაგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანები იმასთან დაკავშირებით, რომ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკის მშრომელების ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ.

თათბირზე გამოვიდნენ: ამხ. ო. კურატაშვილი — ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის სამანქანო საამქროს აგიტატორი, ამხ. პ. გუმბა — გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დღეიფშის“ აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, ამხ. დ. ჯარიბაშვილი — საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალის პარტიის XIX ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი, ამხ. ბ. გვილია—ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი, ამხ. ა. ბაბალაძე — მარნეულის რაიონის სოფელ ყანაღინის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ აგიტატორი, ამხ. ბ. ბიძაბერიძე — ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კომპლექსური ბრიგადის აგიტატორი, ამხ. ვ. სოლმხიევა — ლენინგორის რაიონის სოფელ ლარგვისის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, ამხ. ა. ზასპარიძე — მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი, ამხ. რ. ტაბაშვილი — სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი და სხვ.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. მეფასაძემ. რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ყველა აგიტკოლექტივის ხელმძღვანელისა და აგიტატორისადმი. (საკდესი).

ჩვენ ვესწრაფვით უკეთეს ცხოვრებას,

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

შტირიის მთავროგის მეთაურთან გამართულ დარგაზოგაზე ქალაქ გრაცში 1960 წლის 6 ივლისს

პატივცემულო ბატონო ფედერალურო კანცლერო!

პატივცემულო ბატონო შტირიის მთავრობის მეთაურო!

პატივცემულო ბატონო ბურგომისტრო!

ქალბატონებო და ბატონებო!

მეტად მოხარული ვართ, რომ ავსტრიაში მოგზაურობის დროს შესაძლებლობა მოგვეცა ჩამოვსულიყავით თქვენს მშვენიერ ქალაქ გრაცში, „მწვანე შტირიის“ დედაქალაქში. ჩვენი წარმოდგენა ავსტრიის შესახებ არასრული იქნებოდა, რომ არ გვენახა თქვენი ქალაქი. ცნობილია, თუ რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს შტირია ავსტრიის ეკონომიკაში. ტყეებით დაფარული თვალწარმტაცი შტირია თავის წიაღში ბევრ ბუნებრივ სიმდიდრეს ინახავს.

ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა თქვენთან ყოფნა, რადგანაც გრაცს ძველთაგანვე ურთიერთობა აქვს დამყარებული თავის აღმოსავლეთელ მეზობლებთან და ამ ურთიერთობის ფესვები შორეულ წარსულშია. გრაცი განთქმულია თავისი კარგი ტრადიციებით ამ ქვეყნებთან ვაჭრობაში. თქვენმა ყოველწლიურმა საერთაშორისო ბაზრობებმა დიდად შეუწყეს ხელი ურთიერთსასარგებლო ვაჭრობის განვითარებასა და ხალხთა ურთიერთგაგების სულისკვეთების განმტკიცებას.

საბჭოთა ხალხი მოითხოვს ფართო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებას სრულიად ევროპის, სრულიად მსოფლიოს საფუძველზე. მას მიაჩნია, რომ ყოველ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს შეუძლია დადოს ეკონომიური შეთანხმებანი, მაგრამ ეს შეთანხმებანი არ უნდა იყოს მიმართული სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, როცა იქმნება განკერძოებული ეკონომიური დაჯგუფებანი, რომლებიც შეიცავენ სავაჭრო დისკრიმინაციისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გართულებათა საფრთხეს, რაც აქედან გამომდინარეობს. არ შეიძლება აგრეთვე არ დავინახოთ ის, რომ ასეთ ეკონომიურ ბლოკებში პატარა ქვეყნების მონაწილეობას შეუძლია ზარალი მიაყენოს მათს ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის ურთიერთობაში ბევრი რამ განხორციელდა იმისათვის, რომ მათ უკეთ გაეცნოთ ერთმანეთი. ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა დელეგაციათა გაცხოველებული გაცვლა. ჩვენ ასეთი მოგზაურობანი სასარგებლოდ მიგვაჩნია და სტუმრებს ვუჩვენებთ ხოლმე რაც ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა ხალხი ახლა მჩქეფარე, შრომითი ცხოვრებით ცხოვრობს. წარმატებით სრულდება შვიდწლიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალ დიდ წინსვლას. თქვენ ალბათ იცით, რომ ჩვენ მიზნად დავისახეთ 10-12 წლის განმავლობაში გავუსწროთ შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. და ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა ყველა საფუძველს გვაძლევს დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ შევასრულებთ ამ ამოცანას.

საბჭოთა კავშირი გადაიქცევა არა მარტო ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ ყველაზე მაღალი ცხოვრების დონის ქვეყნადაც. მარტო შვიდწლიდის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი 40 პროცენტით გაიზრდება. ჩვენში ხორციელდება მუშა-მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმება. მიმდინარე წელს დამთავრდება მუშებისა და მოსამსახურეების გადასვლა შვიდი საათის სამუშაო დღეზე, ხოლო ზოგიერთი პროფესიისათვის — 6 საათის სამუშაო დღეზე; შვიდწლედის ბოლოს ჩვენ დავიწყებთ გადასვლას 35-30 საათის სამუშაო კვირაზე.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ათი წლის განმავლობაში გადავჭრათ საბინაო პრობლემა. ვინც საბჭოთა კავშირში იყო, ეცოდინება, რა ბევრ საცხოვრებელ სახლს ვაშენებთ ჩვენში. ტყუილად კი არ უწოდებენ საბჭოთა კავშირს სამშენებლო ამწეების ქვეყანას. შარშან ჩვენს ქვეყანაში აშენდა 2 მილიონ 200 ათასი ბინა ქალაქებში და 850 ათასი სახლი სოფლებში, შვიდწლედის მანძილზე კი ავაშენებთ 15 მილიონ ბინას და 7 მილიონ სახლს, ხოლო შესაძლოა მეტსაც.

ჩვენ გრანდიოზული სამშვიდობო გეგმები გვაქვს. ამიტომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის, სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. მაგრამ გვიხდება ანგარიში გავუწიოთ იმას, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობენ ძალები, რომლებსაც ომ მოსწონთ დაძაბულობის შენელება და ცდილობენ მოწამლონ ატმოსფერო და გაამწვავონ ყველა ხალხისათვის საძულველი „ცივი ომი“.

რა შეიძლება ვთქვათ მომავლის პერსპექტივების შესახებ?

ცხადია, ჩვენ ვერ შევურიგდებით „ცივი ომის“ მომხრეთა მოქმედებას და გადაჭრით ვამჩნევთ მათს პროვოკაციებს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საღი აზრი საერთაშორისო საქმეებში ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვებს: საბჭოთა კავშირი ხელს არ აიღებს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაზე. ყოველ შესაძლებელ ღონეს იხმარს ამ მიმართულებით.

ჩვენ გვინდა გვჯეროდეს, რომ შესაძლებელია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — განიარაღების პრობლემის გადაჭრა, თუმცა განიარაღების მოწინააღმდეგეებმა ამ საკითხებზე მოლაპარაკება უნაყოფო დისკუსიად გადააქციეს. განიარაღების საქმეში წარმატებისათვის საჭიროა დიდი და პატარა ხალხების ღონისძიებანი, რადგან განიარაღება დაინტერესებულია ყველა. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მიღწევები იმდენად დიდია, შექმნილია ისეთ სახეობათა იარაღი და მისი მიტანის ისეთი საშუალებანი, რომ ახალი ომი უზარმაზარ სიერცეს მოიცავდა და კოლოსალურ ნგრევას გამოიწვევდა.

საბჭოთა კავშირი ესწრაფვის იმას, რომ ეს საშინელი იარაღი არასოდეს არ იქნეს გამოყენებული, რომ იგი მოისპოს და დარჩეს მხოლოდ სამხედრო მუზეუმში, როგორიც თქვენი „ცოიგჰაუზია“.

ნება მიბოძეთ მადლობა გუძღვნა შტირიის მთავრობას, ქალაქ გრაცის მაგისტრატს, თქვენი პროვინციისა და მისი დედაქალაქის ყველა მცხოვრებს სტუმართმოყვარეობისა და გულითადობისათვის, რაც ჩვენ გაგვიწიეს, ვუსურვო გრაცისა და შტირიის მცხოვრებლებს ბედნიერება და კეთილდღეობა.

ძალიან ვნანობთ, რომ მოკლე ხნისა და პროგრამის რამდენადმე გადატვირთულობის გამო მოკლებული ვიყავით შესაძლებლობას გვენახა ქალაქის ფაბრიკა ფრანჩხახში, ქარხნები „პუხ-ვერკე“ და „ელინ-ვერკე“. გთხოვთ გადასცეთ ამ საწარმოთა მუშებს, ინჟინრებსა და მოსამსახურეებს ჩვენი უაღრესად გულითადი მისალმება, ვუსურვებთ მათ ბედნიერებასა და წარმატებებს შრომასა და ცხოვრებაში. ვთხოვთ მათ მაინცდამაინც მკაცრად არ განგვსაჯონ იმის გამო, რომ მათ ვერ ვეწვიეთ.

დაე განმტკიცდეს და გაფართოვდეს მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის!

მუშეგის ძალა ერთოგაშია

ნ. ს. ხრუშჩოვის ეხვედრა შტირიის მშრომელთა დელეგაციებთან

6 ივლისი ნ. ს. ხრუშჩოვმა კარინთიასა და შტირიაში — ავსტრიის საბჭოთა პროვინციებში მოგზაურობას მოახერხა. ეს წარმატება სილამაზის ადგილებია, სადაც უხვად არის ტყიანი მთები, ლამაზი ტბები, მთის სწრაფი მდინარეები, მწვანე ველები. აქაური ადგილების სილამაზე იზიდავს უცხოელ ტურისტებს, და ბევრი მათგანი უერთდებოდა ავსტრიელებს, რათა მისალმებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

მაგრამ ეს მარტო ტურისტული, საკურორტო რაიონი როდია. აქ თავმოყრილია აგრეთვე ავსტრიის სამრეწველო საწარმოები — შახტები, ქარხნები. სამწუხაროდ, ნ. ს. ხრუშჩოვის ავსტრიაში მოგზაურობის პროგრამა გადატვირთული იყო, და მან ვერ შეძლო ენახა ყველა საწარმო, რომელთა ნახვაც წინათ გათვალისწინებული იყო. მაგრამ ავსტრიის საწარმოთა მუშებს ძალიან უნდოდათ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნახვა, და რაგორც კი იგი ჩავიდა შტირიის მთავარ ქალაქ გრაცში, ავსტრიის მეორე ქალაქში სტუმრებისათვის გამოყოფილი სასტუმროს ვესტიბიულში უკვე შეიკრიბა შტირიის ფაბრიკა-ქარხნების მრავალი დელეგაცია. ისინი აქ მოვიდნენ და თან მოიტანეს საჩუქრები, სიყვარულით გაკეთებული ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, — ეს იყო იმ მანქანების მოდელები, რომლებიც კეთდება შტირიის საწარმოებში, მათ მიერ გამოშვებულ ნაკეთობათა ნიმუშები, სხვადასხვაგვარი სურათები, გრავიურები, ემბლემები და ყვავილები, ძალიან ბევრი ყვავილი.

როცა გაიგო, რომ შტირიის მშრომელთა დელეგაციები ელოდებოდნენ, ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიის ფედერალურ კანცლერ ი. რაბთან ერთად დაუყოვნებლივ ჩავიდა მათთან სასტუმროს ვესტიბიულში. და იქ გამერრდა მუშების დელეგაციებთან შეხვედრის სურათი, როგორიც ფილახში იყო. დელეგაციები ზედიზედ მიდიოდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურთან, უძღვნიდნენ თავიანთ საჩუქრებს, და მუშების წარმომადგენლები ამბობდნენ გულის სიღრმიდან აღმომხდარ სიტყვებს.

პრეს-ჯგუფი უდგენს საბჭოთა ადამიანებს შტირიის მუშათა კოლექტივების წარმომადგენლებთან ნ. ს. ხრუშჩოვის ამ გულითადი და გულწრფელი შეხვედრის ცოცხალ ჩანაწერს.

პირველმა ილაპარაკა პ. კებერლმა, ვაგონსამშენებლო ქარხნის მუშათა წარმომადგენელმა:

— ძვირფასო ამხანაგო საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრო, შტირიის საწარმოებისა და გრაცის ქარხნების დელეგაციები აქ მოვიდნენ, რათა უაღრესი გულითადობით მოგესალმონ.

— გმადლობთ, — უთხრა ნიკიტა სერგის-ძემ. პ. კებერლმა, ნ. ს. ხრუშჩოვის გულითადობით აღფრთოვანებულმა, მაგრად ჩამოართვა მას ხელი და განაგრძო:

— ჩვენ აქ ვართ უპარტიოები, სოციალისტები, კომუნისტები, სხვადასხვა პარტიის მუშა ადამიანები. მაგრამ ყველანი აქ მოვედით საერთო განზრახვით: გადმოგცეთ თქვენ, როგორც ჩვენს კოლეგას შტირიის საწარმოთა მუშების სალამი. ჩვენ დიდი გულმოდგინებით ვადევნებთ თვალყურს საბჭოთა კავშირის განვითარებას და ყველანი ერთსულოვნად მივესალმებით საბჭოთა ხალხის მიერ მიღწეულ პროგრესს. თქვენი წარმატებანი ხომ დახმარებაა ჩვენთვისაც.

ავსტრიელი მუშები დიდი სიმპათიით ადევნებენ თვალყურს თქვენს ბრძოლას მშვიდობისათვის. ჩვენ მივესალმებით თქვენს ღონისძიებებს ამ ბრძოლაში. გრაცის მოქალაქეებმა კარგად იციან, თუ რა არის ომი. ომმა დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს, და ჩვენ მოგვიხდა ჩვენი ხელით აღგვედგინა აქ ყოველი სახლი. არც ერთ ჩვენთაგანს არ უნდა, რომ ეს გამეორდეს. და თუმცა ავსტრიელები პატარა ხალხია, ჩვენ ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ მშვიდობისათვის ბრძოლაში.

გისურვებთ, ამხანაგო ხრუშჩოვ, კიდევ მეტ წარმატებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში და ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ნება მიბოძეთ სამახსოვროდ მოგიძღვნათ ჩვენი ქარხნის მუშებისაგან პოდელი ვაგონისა, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ. ჩვენ გვინდა ვაშენოთ კიდევ მეტი ასეთი ვაგონი საბჭოთა კავშირისათვის.

დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში, შეძახილები: „ბრავო!“, „გაუმარჯოს ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“. ნ. ს. ხრუშჩოვი ღიმილით ამბობს:

— მაგარი ხელი, ნამდვილი პროლეტარული ხელი აქვს!

შემდეგი გამოდის მეტალურგიული ქარხანა „ბელერ კაპფენბერგის“ მუშათა წარმომადგენელი ა. პისტერი. იგი ამბობს:

—ნება მიბოძეთ მეც ვთქვა ორიოდე სიტყვა. მე გამოვდივარ ფოლადსამსხმელო ქარხნის „ბელერ კაპფენბერგის“ მუშათა სახელით. ჩემმა მეგობრებმა დამავალეს გადმოგცეთ გულითადი სალამი. მას შემდეგ, რაც უმაღლესი დონის თათბირი ჩაიშალა, ჩვენთვის უფრო ნათელი გახდა, რომ ხალხები დგანან არჩევანის წინაშე: ან საერთო ღონისძიებებით უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობიანი თანაარსებობა, ან კაცობრობა თანდათანობით დაექანება ომისაკენ. რაც შეგვეხება ჩვენ, ქარხანა „ბელერ კაპფენბერგის“ მუშებს, ჩვენ გავაკეთეთ საბოლოო არჩევანი: ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის.

წარსულში, ამბობს ა. პისტერი, ჩვენი ქარხანა ომის საჭიროებისათვის მუშაობდა. მაგრამ ახლა ჩვენ, მუშებმა, მტკიცედ გადავწყვიტეთ არასოდეს აღარ ვაწარმოოთ რამე ომისათვის. არამედ ვიმუშაოთ მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის.

გაისმის ტაში.

ჩვენი ქარხნის მუშები, განაგრძობს ა. პისტერი, ნანობენ, რომ თქვენ ვერ შესძელით მოსულიყავით ჩვენთან. მე შემიძლია მთელი გარკვეულობით ვთქვა, რომ ქარხანა „ბელერ კაპფენბერგის“ მუშა-მოსამსახურეთა სულ ცოტა 80 პროცენტი მოხარული იქნებოდა მოგესალმებოდათ ჩვენს საწარმოში. დაე ქვეყნად დამყარდეს მტკიცე მშვიდობა! მოგესალმებით ჩვენი ქარხნის მუშების სახელით და გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მცირედი საჩუქარი. ეს ნაკეთობა მოგაგონებთ ჩვენი მუშების ოსტატობას.

ა. პისტერმა ნ. ს. ხრუშჩოვს კადასცა ფოლადისაგან ოსტატურად გამოჭედილი ვარდი. ნიკიტა სერგის-ძემ მადლობა გადაუხადა და მაგრად გადაეხვია მას.

შემდეგ გამოვიდა „ელინ-უნიონის“ მუშათა წარმომადგენელი ა. მიტერდორფერი.

ნება მიბოძეთ, ამხ. პრემიერ-მინისტრო, მოგესალმოთ ავსტრიის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმოს მუშების სახელით და გადმოგცეთ ჩვენი გულითადი სიტყვა — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ჩვენი მუშები ძალიან ნანობენ, რომ თქვენ ვერ შესძელით მოსულიყავით ჩვენს საწარმოში და რომ ისინი პირადად ვერ მოგესალმნენ. მუშებმა დამავალეს გისურვოთ წარმატება თქვენს მუშაობაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენ გვინდა, რომ მეგობრობა ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს შორის კიდევ უფრო მტკიცდებოდეს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ვითარდებოდეს ვაჭრობა, ნიერი საჩუქრისათვის — სასპორტო პარაშუტისათვის, რომელიც თქვენი სახელით გადმოგვცეს. ჩვენ ვისწავლით საბჭოთა სპორტსმენებისაგან. მათი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ავიმაღლოთ სპორტული ოსტატობა. დაე მტკიცდებოდეს ავსტრიელი და საბჭოთა სპორტსმენების მეგობრობა და ვითარდებოდეს ავსტრიელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობა მშვიდობის ინტერესებისათვის.

ხ. შპიტცერი სთხოვს ნ. ს. ხრუშჩოვს ხელი მოაწეროს ფოტოსურათებს, რომლებზეც გამოსახულია ნიკიტა სერგის-ძე.

— ეს ფოტოსურათები, — ამბობს ხ. შპიტცერი. — დიდ სიხარულს მიანიჭებს ჩვენს სპორტსმენებს. ეს ფოტოსურათები მარად მოგვაგონებენ თქვენს ვიზიტს ავსტრიაში. ვიზიტს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

ნ. ს. ხრუშჩოვი ხალისით ასრულებს შტირიელი სპორტსმენების თხოვნას და ხელს აწერს ფოტოსურათებს.

სიტყვას იღებს გრაცის ტრამვაელთა წარმომადგენელი მ. ლეტცერი.

— მინდა, — ამბობს იგი, — უაღრესად გულითადად მოგესალმოთ ქალაქ გრაცის ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა სახელით. ჩვენ გვინდა, რომ ავსტრიელი ხალხი და საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო კარგად მეგობრობდნენ და კიდევ უფრო აქტიურად იბრძოდნენ ერთად მშვიდობისათვის.

მ. ლეტცერი უძღვნის ნ. ს. ხრუშჩოვს სამახსოვრო საჩუქარს გრაცის ტრამვაელთაგან.

გრაცის კომუნალური მეურნეობის მუშათა სახელით გამოდის ს. პოდოსნიკი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამშობლო და ქალაქი გრაცი მოგეწონათ. ჩვენ გადავწყვიტეთ კიდევაც ნახეთ სახსოვრად ავსტრიის მხატვართა ნაწარმოებნი, რათა ამ ნაწარმოებებმა მოგაგონოთ ჩვენი ქვეყანა.

მურა ქვანახშირის ამოღებაზე მომუშავე თოიტსბერგელი მეშახტიების წარმომადგენელმა თ. ბერგმანმა ნ. ს. ხრუშჩოვს უძღვნა მეშახტეთა ტრადიციული, თრთოების ჯიღიანი ქუდი. ნ. ს. ხრუშჩოვმა დაიხურა ეს ქუდი. გაისმის ტაში. მეგობრული მისალმებანი.

მონადირე მუშებმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს მაჩვის ფიტული. „მონადირეს მონადირეთაგან“. — წერენ მუშები. მისასალმებლად გამოდიან ასაწყობი კონსტრუქციების ქარხნის „ვაგნერ-ბიროს“ წარმომადგენელი ფ. აშბახერი. მანქანათსამშენებლო ქარხნის „მფა“-ს მუშების წარმომადგენელი ა. პოლდი. გრაცელ ქალთა სახელით ნ. პ. ხრუშჩოვას საჩუქრები მიართვა ქ-ნმა პაისლმა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

—ძვირფასო მეგობრებო, ძვირფასო ამხანაგებო, — ამბობს იგი. — თქვენ დიდად მასიამოვნეთ და დიდი პატივი დამდეთ. კეთილი სიტყვები რომ მითხარით ჩვენს ქვეყნის, ჩვენი ხალხის შესახებ, დიდად რომ დააფასეთ ჩვენი ბრძოლა მუშათა კლასის საქმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის. (ტაში).

ჩემთვის სასიამოვნოა, რომ თქვენ გადმომეცით შტირიელი მუშების სალამი — კომუნისტებისაც და სოციალისტებისაც. და სხვა პარტიების წევრი მუშებისაც. ჯერჯერობით კიდევ არსებობს ბევრი სხვადასხვა პარტია, რომლებშიც მუშები შედიან. გულახდილად უნდა ვთქვა: ეს მუშათა კლასს სარგებლობას არ მოუტანს. რაც შეგვეხება ჩვენ, ჩვენ ვიცავთ უდიდეს ლოზუნგს, რომელიც კარლ მარქსმა გამოაცხადა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. („ტაშის გრიალი. შეძახილები: „ბრავო!“ „ვაშა!“).

როგორ უნდა იმოქმედოთ თქვენ, ეს თქვენი საშინაო საქმეა. ამ შემთხვევაში ჩემს პირად აზრს გამოვთქვამ როგორც ყოფილი მუშა. ახლა მე საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაური ვარ. (ტაში).

როგორც იცით, ჩვენ მოვახდინეთ მსოფლიოში პირველი სოციალისტური რევოლუცია. (ტაში, შეძახილები: „ვაშა!“). რევოლუციამდე ჩვენშიც ბევრი პარტია იყო, და მე ჩვენი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ: რაც უფრო ბევრი პარტია იყო ჩვენში, მით უფრო დაქსაქსული იყო მუშათა კლასი, მით უფრო სუსტი იყო იგი.

დადგება დრო, როცა მუშათა კლასს ყველგან ეყოლება ერთი პარტია — ყველაზე მებრძოლი პარტია. იქ კი, სადაც ჯერჯერობით ეს არ არის, უნდა გავერთიანოთ სხვადასხვა პარტიის წევრი მუშები. მოქმედება, გავერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი, რათა ერთად ვიბრძოლოთ მუშათა კლასის საქმისათვის. (ტაში).

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ აზრს დაადგებით. შეიძლება კოპები დაგაჯდეს. მაგრამ მოუკვიანებლები და ამ აზრს დაადგებით. (მხიარული გამოცოცხლება. ტაში).

მუშათა კლასის ძალა ერთობაშია! აიღეთ მუშის ხელი, როცა იგი მუშტს გააკეთებს — ეს ძალაა, ხოლო როცა იგი გაფარჩხავს თითებს, ხელი უკვე სუსტდება. ასევეა მუშათა კლასიც. იგი ერთიანი, შეკავშირებული, ორგანიზებული უნდა იყოს. (ერთსულოვანი ტაში).

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი თავის მოვალეობას ასრულებს როგორც მსოფლიო მუშათა კლასის მოწინავე რაზმი. (მქუხარე ტაში. შეძახილები: „ვაშა!“). პირობას გაძლევთ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, საბჭოთა მშრომელი ხალხობის, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი ხალხის სახელით, რომ ჩვენს გზას არ ავცდებით და მტკიცე რწმენით ვივლით წინ, ცხადყოფთ, თუ რა შეუძლია მუშათა კლასს, მშრომელ ხალხს. ჩვენ ავაშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას, ყველაზე სამართლიან საზოგადოებას, რომელშიც კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები ოცნებობდნენ. (შეძახილები: „ვაშა!“, ტაში). მაპატიონ გულახდილი სიტყვები ბატონმა ფედერალურმა კანცლერმა და თქვენი პარტიების ხელმძღვანელებმა. ეს ამბავი ერთერთ [illegible] თქვენთვის! (ტაში).

[illegible] (ტაში). მაგრამ კომუნისტად არ დავბადებულვარ, ისევე როგორც თქვენ არ დაბადებულხართ იმ პარტიების წევრებად, რომლებსაც ეკუთვნით. ყველა ჩვენგანს ასწავლეს ცხოვრება. ეს დიდი სკოლაა. ცხოვრება ყველა ჩვენგანს წვრთნიდა და ასწავლიდა. მასწავლა მეც. მე კარგად შევიგებინე, გინდა მუშათა კლასის გამარჯვება — შედი კომუნისტურ პარტიაში (გრიალებს ტაში, შეძახილები: „ბრავო!“, „ვაშა“). მე არ მინდა ამხანაგო სოციალისტებო, რომელიმე თქვენგანს ვაწყენინო. მაგრამ ხომ არ შემიძლია ვაქო სოციალისტური პარტია, მე ხომ კომუნისტი ვარ. ამხანაგებო, შედი ჩემს მდგომარეობაში. (მხიარული გამოცოცხლება).

მე უკვე ვილაპარაკე, რომ რევოლუციამდე ჩვენშიც იყო ბევრი პარტია და მუშები ზოგჯერ იყენენ სხვადასხვა ამ პარტიის წევრები. მაგრამ შემდეგ მათ შეიგნეს, რომ ძალა ერთობაშია, გაერთიანდნენ თავიანთი მებრძოლი პარტიის გარშემო და საქმე კარგად წავიდა. თუ როგორ მოიქცევი თქვენ, ეს თქვენი საქმეა. გინდა კარგი რამ — გაერთიანდით. არ გინდათ — დაე ცხოვრებამ კიდევ გწვრთნათ, ისწავლით! (მხიარული გამოცოცხლება, ტაში).

მადლობას გიძღვნით კეთილი სიტყვებისათვის და სამახსოვრო საჩუქრებისათვის, ძვირფასო მეგობრებო. შინ რომ დაბრუნდები, ვუამბობ მოსკოველ მუშებს და საბჭოთა კავშირის ყველა მუშას, თუ რა კეთილი სიტყვები მითხარით. მოდით ვიმეგობროთ ამხანაგებო! თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, რომ კარგი იქნებოდა, ვაჭრობას რომ გავაფართოვებდეთ თქვენს ქვეყანასთან. გეთანხმებით. ჩვენ შეგვიძლია თქვენს ქვეყანას დიდი შეკვეთები მივცეთ, და მაშინ ყველა მუშას ექნება სამუშაო. (ტაში. მოწონების შეძახილები). საქმე ავსტრიაზეა!

ჩვენ ვიბრძვით მშვიდობისათვის. ჩვენი ძალები უზარმაზარია, და ჩვენ იმედით შევყურებთ მომავალს. მაგრამ მშვიდობისათვის ბრძოლა რომ წარმატებით იყოს, საჭიროა ყველა ხალხმა გაერთიანოს ძალები ამ ბრძოლაში, მონაწილეობისათვის. ძალების გაერთიანებით ხალხებს შეუძლიათ უზრუნველყონ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. (შეძახილები: „ბრავო!“, მქუხარე ტაში).

გთხოვთ ჩემგანაც მიიღოთ მცირედი სუვენირები, გმადლობთ, ერთხელ კიდევ გმადლობთ! ნახვამდის!

ნ. ს. ხრუშჩოვმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცა შტირიის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელებს. რასაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ეს შეხვედრა დიდხანს დარჩება ყველა იქით ხსოვნაში, ვინც მისი მონაწილე იყო.

ქალაქი გრაცი, 1960 წლის 6 ივლისი.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

ავსტრიის რადიოთი და ტელევიზიით 1960 წლის 7 ივლისს

ვენა, 8 ივლისი. (საკადეხი). გუშინ საღამოს ავსტრიის რადიოთი და ავსტრიის რესპუბლიკის სატელევიზიო ქსელით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ავსტრიის რესპუბლიკის სატელევიზიო ქსელში ჩართეს ბევრი ქვეყნის სადგურები. ყველა რესტორანში, კაფესა და ვენის სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ყველა დარბაზი სავსე იყო ვენის მცხოვრებლებით, რომელთაც სურდათ მოესმინათ სიტყვა და საკუთარი თვალით დაენახათ ნ. ს. ხრუშჩოვი.

ბატონო ფედერალურო კანცლერო!

ბატონო მინისტრო!

ბატონებო!

დასასრულს უახლოვდება ჩვენი ყოფნა თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში, სადაც ვიყავით თქვენი მთავრობის თავაზიანი მოწვევით. ხვალ მოსკოვს მივფრინავთ. ჩვენ მივდიოვართ კარგი გრძნობებით, ავსტრიელი ხალხის ცხოვრების გაცნობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ეს მშვიდობისმოყვარე და სტუმართმოყვარე ხალხია.

საუბრები ავსტრიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან — ფედერალურ პრეზიდენტ შერფთან, ფედერალურ კანცლერ რაბთან, ვიცე-კანცლერ პიტერმანთან. სახალხო პარტიის თავმჯდომარე გოროხთან. სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. სხვადასხვა პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის ურთიერთობა კეთილასურველად ვითარდება. ეს ურთიერთობა იძლევა სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის შესანიშნავ ნიმუშს.

ტელევიზია XX საუკუნის საუცხოო გამოგონებაა. მაგრამ მასში, მე მგონია, არის ერთი არსებითი ნაკლი — ის, ვინც ტელევიზიით გამოდის, მოკლებულია შესაძლებლობას ხედავდეს იმათ, ვინც მას ხედავს და უსმენს.

ტექნიკის ამ ხარვეზის შევსება გვიხდება ადამიანის მეხსიერების დახმარებით. ახლა, თქვენს წინაშე რომ გამოვდივარ, ვხედავ ბევრ ავსტრიელს — ვენის, გრაცის, ლინცის, ზალცბურგის, თქვენი დიდი და პატარა ქალაქების მცხოვრებლებს, მუშების, გლეხების, ინტელექტუალური შრომის ადამიანების — ყველა იმათ სახეებს, ვისთანაც მომიხდა ლაპარაკი და ვინც გამოვიდა იმისათვის, რომ მისალმებოდა საბჭოთა სტუმრებს.

ჩემი სახელით, ჩემი თანამხლები პირების სახელით, საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გადმოგცემთ მადლობას კეთილი გრძნობებისა და მეგობრული ყურადღებისათვის ჩვენდამი.

ავსტრია ლამაზი ქვეყანაა. ტყუილად კი არ უყვართ ასე ტურისტებს თქვენთან ჩამოსვლა. მაგრამ ტურისტები ხშირად ხედავენ მხოლოდ ქალაქების, მთებისა და ველების სილამაზეს, ხელოვნების ძეგლებს და ჩვეულებრივ არ უფიქრდებიან იმას, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები, რა სურთ მათ, რა სწყინთ, რას მოელიან ხვალინდელი დღისაგან.

ჩვენ შევძელით გავცნობოდით ავსტრიელი ხალხის ცხოვრებას ბევრ მხარეს, გვენახა ადამიანები ჩარხებთან, გლეხები მინდორში, გვესაუბრა უაღრესად აქტუალურ და დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, რომლებიც ყოველთვის აღელვებენ მშრომელ ადამიანებს.

მე ვნახე ავსტრია ომის დამთავრებისთანავე, ვნახე დანგრეული, ცივი ვენა. 14 წელიწადში, რამაც განვლო იმ დროიდან, რაც პირველად ვიყავი აქ, ავსტრიელ ხალხს ბევრი რამ შეუცვლია უკეთესობისაკენ. როგორც ჩანს, საქმეები თქვენთან ცუდად როდი მიდის, და ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ეს გვახარებს. მართალია, გულწრფელი არ ვიქნებოდი, რომ არ მეთქვა თქვენთვის, რომ ავსტრიაშიც, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ არის გადაუჭრელი პრობლემები, არის თავისი სიძნელეები. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ეს თვითონაც იცით.

ნეიტრალიტეტი, რომლითაც ხელმძღვანელობს თავის. პოლიტიკაში ავსტრიის სახელმწიფო, შესაძლებლობას აძლევს თქვენს ხალხს განავითაროს ავსტრიის ეკონომიკა და კულტურა მშვიდობისმოყვარულ საფუძვლებზე, შესაძლებლობას აძლევს მოაწესრიგოს ფართო ეკონომიური ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან.

როგორც უკვე ვთქვი, ამ რამდენიმე დღეში მოგვიხდა საუბარი ბევრ ავსტრიელთან და არა მარტო საუბარი, არამედ დავაც. ისეც ხდებოდა, რომ ჩვენ, ასე ვთქვათ, საკუთარ შეხედულებებზე ვრჩებოდით. ყოველივე ეს დასაშვები და ბუნებრივია.

მე მომცეს ბევრი შეკითხვა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების შესახებ, კეთილმოსურნე შეკითხვები, რომლებიც ნაკარნახევია კარგი ცნობისმოყვარეობით, და ისეთებიც, რომლებშიც გამოსჭვიოდა უნდობლობა, ზოგჯერ კიდევაც იგრძნობოდა, რომ ამ შეკითხვებს იძლევიან ჩვენი ქვეყნისადმი მტრული პროპაგანდის გავლენით.

ახლა, რამდენადაც ბევრი ახალი მსმენელი მყავს, მინდა მოკლედ გიამბოთ იმ პრინციპების შესახებ, რომლებითაც ხელმძღვანელობს ჩვენი ხალხი თავის ც

ყველაზე მშვენიერ ცხოვრებას დედამიწაზე

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

...ებას. ცდილობს საქმე ისე წარმოადგინოს, თითქოს საბჭოთა კავშირი და საბჭოთა ხალხი აგრესიულნი არიან. თითქოს მათ სურთ სხვისი ტერიტორიების დაპყრობა, სურთ თავს მოახვიონ თავიანთი სიტყვა და თავიანთი სისტემა სხვებს.

მოდით, როგორც ეს მიღებულია გონიერ ადამიანებში, მოვიყოლოთ ფაქტები, მაგალითები. მე გიამბობთ ჩვენი ცხოვრების ზოგიერთ მხარეზე, ხოლო თქვენ თვითონ განსაჯეთ.

ჩვენი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — ვეებერთელა და მძლავრი სახელმწიფოა. ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს 212 მილიონზე მეტი კაცი. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში ჩვენი მოსახლეობა გაიზარდა თითქმის 7,5 მილიონი კაცით. ციფრი, როგორც თქვენ ხედავთ, პატარა როდია. ეს რამდენადმე მეტია, ვიდრე ავსტრიის მთელი მოსახლეობა.

საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ ასზე მეტი ეროვნების ადამიანები. ჩვენში არის სუბტროპიკული რაიონები და მარადიული ი

გულითადობა და გულთბილი მიღება

საზღვარგარეთული პრესა დიდ ადგილს უთმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ავსტრიაში ყოფნასთან დაკავშირებულ მასალებს.

პოლონური გაზეთი „ტიგოდნიკ დემოკრატიჩნი“ აღნიშნავს განსაკუთრებულ გულითადობასა და გულთბილ მიღებას, რასაც ნ. ს. ხრუშჩოვს უწყობენ ავსტრიის ქალაქებსა და სოფლებში მისი მოგზაურობის დროს და წერს, პრემიერ-მინისტრ ხრუშჩოვის ვიზიტი ავსტრიაში, მსურვალე მიღება, რაც საბჭოთა მთავრობის მეთაურს მოუწყო ნეიტრალური ავსტრიის მოსახლეობამ, კლასიკური დაპირისპირებაა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ამასწინანდელი მოგზაურობისადმი შორეულ აღმოსავლეთში. თანამიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, რაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, განაგრძობს გაზეთი, მისი მტკიცე მისწრაფება მშვიდობიანი გზით გადაჭრას საერთაშორისო პრობლემები, რომელთა გადადება შეუძლებელია, სსრ კავშირის შორსმჭვრეტი ბრძნული პოლიტიკა, რომელიც გვიჩვენებს მშვიდობიანი თანაარსებობის გზას და ბოლოს, საბჭოთა კავშირის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური მიღწევები — აი იმ მხარდაჭერის, პოპულარობისა და გულითადობის ძირითადი მიზეზები, რომლებსაც მსოფლიო საზოგადოებრიობის უმეტესი ნაწილი იჩენს და გამოთქვამს სსრ კავშირისა და მისი ხელმძღვანელების მიმართ. აქედანვე გამომდინარეობს იმის მიზეზი, თუ რატომ მიმდინარეობს ასეთ გულითად ატმოსფეროში ხრუშჩოვის ვიზიტი ავსტრიაში.

სსრ კავშირის პოზიცია ავსტრიის მიმართ, აღნიშნავს, „ტრიბუნა ლუდუ“, შეესაბამება ავსტრიელ ხალხის ინტერესებს. რაც უფრო ახლო ეცნობა ავსტრიის საზოგადოებრიობა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას, მით უფრო დიდ სიმპათიას იჩენს საბჭოთა სტუმრებისადმი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ცენტრალური გაზეთი იუწყება, რომ დამთავრდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა ავსტრიის პროვინციებში. ავსტრიიდან მიღებულ კორესპონდენციებში გაზეთები ხაზს უსვამენ გულთბილ და გულითად მიღებას, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მოუწყო საბჭოთა მთავრობის მეთაურს. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ავსტრიაში ამ მოგზაურობას უწოდებს „საშვიდობო მოგზაურობას, რომლის მსვლელობაში დაამჟღერებელი გამარჯვება მოიპოვეს ნ. ს. ხრუშჩოვმა და მშვიდობამ“.

ბუქარესტის გაზეთების ფურცლებზე ყოველ დღე იბეჭდება ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები, საკუთარ კორეს-პონდენტთა ანგარიშები მისი მოგზაურობის შესახებ და გულითადი მიღების შესახებ, რაც ავსტრიის მოსახლეობამ გაუწია საბჭოთა მთავრობის მეთაურს. გაზეთი „პერარია პატრიერი“ კომენტარს უკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს ავსტრიაში და წერს: მხურვალე მიღება, რაც ავსტრიელმა ხალხმა, საბჭოთა მთავრობის მეთაურს მოუწყო, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ავსტრიელები პატივს სცემენ და აფასებენ სსრ კავშირს და პირადად ნ. ს. ხრუშჩოვს, ისინი განსაკუთრებულ მადლობას უძღვნიან დიდ საბჭოთა ხალხს, რომლის ასობით და ათასობით შვილმა შეწირა სიცოცხლე ავსტრიის განთავისუფლებას. სტუმრთმოყვარეობა, გულითადობა და მეგობრობა, რასაც ავსტრიის მცხოვრებნი ნ. ს. ხრუშჩოვისადმი იჩენენ, მოწმობს იმას, რომ ავსტრიელი ხალხის უმეტესობა სიმპათიით ადევნებს თვალყურს საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ბრძოლას მშვიდობიანი თანაარსებობის იდეების გამარჯვებისათვის, მშვიდობის გამარჯვებისათვის.

დამასკოს პრესა აქვეყნებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლების ნაწყვეტებს იმ დარბაზობაზე, რომელიც მის პატივსაცემად მოაწყეს ზალცბურგის პროვინციის მთავრობის მეთაურმა და ქალაქ ზალცბურგის ბურგომისტრმა, შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირი ძალას იხმარს, თუ ავსტრიის სუვერენიტეტი დაარღვიეს. საბჭოთა პოლიტიკას გერმანელებისადმი სიძულვილი როდი უდევს საფუძვლად“ („ალ-ვახდა“), „საბჭოთა კავშირი პატივს სცემს ავსტრიის ნეიტრალიტეტს“ („ანასრი“). გაზეთები გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის იმ ადგილებს, სადაც იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი პატივს სცემს ნეიტრალური ქვეყნების სუვერენიტეტს, რომ საჭიროა დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან და რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას გერმანიის მიმართ გერმანელებისადმი მტრობა არ უდევს საფუძვლად, თუმცა საბჭოთა ხალხი სხვა ხალხებზე მეტად დააზარალეს ჰიტლერელთა ბანდებმა. (საკდესი).



ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვართ საბჭოთა სტუმრის პიზიტით

ი. რააბის განცხადება

ვენა, 7 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა ჟურნალისტებთან საუბარში ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ი. რააბმა განაცხადა, რომ იგი ძალიან კმაყოფილია ავსტრიაში ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის მსვლელობით, და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ურთიერთობა ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება. ჩვენ ყოველთვის კარგი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, ხაზი გაუსვა ი. რააბმა, და ეს ურთიერთობა კვლავაც წარმატებით განვითარდება.

ავსტრიის მოსახლეობამ, თქვა დასასრულ ი. რააბმა, მეგობრული მიღება მოუწყო ნ. ს. ხრუშჩოვს.

„კუბას პირველად მარტავენ ჰავანიდან...“

ლონდონი, 8 ივლისი. (საკდესი). „კუბის ხალხი მზად არის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება და არ ეშინია ამერიკელ იმპერიალისტთა მუქარისა“, — განაცხადა კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ ინდოეთის ჟურნალ „ბლიტცის“ რედაქტორ რ. კარანჯიასთან საუბარში, რომლის ტექსტი გამოქვეყნდა ლონდონში.

პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბელი ხალხი პირველად თავის ისტორიაში გახდა კუბის ნამდვილი ბატონ-პატრონი. „კუბას პირველად მართავენ ჰავანიდან, ხოლო მის პოლიტიკას არ უკარნახებენ სხვა ქვეყნების დედაქალაქებიდან, — თქვა კასტრომ. — ხდება დიდი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ კუბისა და მისი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის“.

მაგრამ ასეთი პოლიტიკა, აღნიშნა ფიდელ კასტრომ, აწყდება ამერიკელ იმპერიალისტთა გააფთრებულ წინააღმდეგობას.

„მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა გათავისუფლეთ ამერიკის ეკონომიური ბატონობისაგან, — განაცხადა კასტრომ, — ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები, „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ მსგავსი კარტელები და დიდი კორპორაციები, რომლებიც ფლობდნენ ჩვენს მიწას, კომუნალური მომსახურების საწარმოებს, მრეწველობასა და საწვავს, პრაქტიკულად კონტროლს უწევდნენ ჩვენი იმპორტისა და ექსპორტის მეტ ნაწილს და განაგებდნენ ჩვენს ეკონომიკას, ეს ძლავრი დაჯგუფებანი, რომელთაც თავიანთი აგენტები ჰყავთ სახელმწიფო დეპარტამენტში, სენატსა და პენტაგონში, გახდნენ კონტრრევოლუციის ინიციატორები, სულისჩამდგმელები და ხელშემწყობნი“.

შეერთებული შტატების მთავრობა, განაგრძო კასტრომ, ნებას აძლევს გამოიყენონ ამერიკის ბაზები კუბის საპაერო დაბომბვისათვის, იგი ეშურება კუბელ ხალხს ეკონომიური ბლოკადით, ამერიკის აგენტები ცდილობენ მოაწყონ შეიარაღებული ინტერვენცია კუბის წინააღმდეგ.

„მაგრამ მე ვურჩევ ამერიკელებს მოიფიქრონ ათასჯერ, — თქვა კასტრომ, — ვიმეორებ, ათასჯერ, სანამ გადაწყვეტენ ამგვარ მოქმედებას. ინტერვენტები ჩვენს ქვეყანაში შეხვდებიან სისხლისმღვრელს, გმირულ და ძლევამოსილ წინააღმდეგობას. ჩვენი ხალხი მზად არის შეხვდეს მათ და დაამარცხოს“.

უპასუხა რა კითხვაზე, ხედავს თუ არა კუბა, რომელსაც ეკონომიური ურთიერთობა აქვს როგორც სსრ კავშირთან, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რაიმე განსხვავებას ამ სახელმწიფოთა პოლიტიკაში დამოუკიდებელი, მაგრამ სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ, ფიდელ კასტრომ განაცხადა:

„განსხვავება უდიდესია ყველაფერში“, მაგალითად, ამერიკის საქონელი რუსეთის საქონელზე ძვირია. საბჭოთა კავშირმა მოგვცა 100 მილიონი დოლარი კრედიტი ქარხნების მშენებლობისათვის, მაშინ როცა შეერთებულმა შტატებმა მოგვისპეს ის კრედიტები, რომლებიც გვჰონდა ამერიკის ბანკებში და რომლებიც ხელს უწყობდნენ საქონელგაცვლას. მაშინ როცა ამერიკა იმუქრება შეამციროს ჩვენი შაქრის შეტანის ტრადიციული კვოტა ეკონომიური ომის ღონისძიების სახით, რასაც მისი მთავრობა ეწევა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ, რუსეთმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ერთად დაიწყეს ჩვენგან შაქრის შესყიდვა. რუსები გვაძლევენ ნავთობსა და სხვა საჭირო საქონელს, ამერიკელები კი გვისპობენ ნავთობს. ამერიკის ნავთობის კომპანიები ჩვენს სუვერენიტეტსაც კი ბღალავენ.

ამ განსხვავების არსი ასეთია: სსრ კავშირი პატივს სცემს ჩვენს რევოლუციასა და ჩვენს სუვერენიტეტს და სურს იქონიოს ჩვენთან ურთიერთობა თანასწორობისა და მეგობრობის საფუძველზე; შეერთებული შტატები, პირიქით, ზიზღით ეკიდებიან ჩვენს დამოუკიდებლობას და მოითხოვენ ძველი ეკონომიური ურთიერთობის შენარჩუნებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ბატონობისა და აგრესიის იმპერიალისტური კოლონიური სისტემა“.

ამერიკელთა ძალადობა კუბის მიმართ

ვაშინგტონი, 7 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი გ. შიშკინი იუწყება: პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა გუშინ ხელი მოაწერა კონგრესის მიერ ნაჩქარევად მიღებულ კანონს, რომელიც უფლებას ანიჭებს მას გადასინჯოს შეერთებულ შტატებში კუბის შაქრის იმპორტის კვოტა. როგორც კი ეს კანონი ძალაში შევიდა, პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვს შეამციროს წელს კუბის კვოტა 700 ათასი ტონით.

ამერიკის მთავრობის ეს ახალი ნაბიჯი კუბის რევოლუციის მიმართ ამერიკელთა მონოპოლიების ეკონომიური ძალადობის აშკარა აქტია. შემთხვევითი როდია, რომ კუბის წინააღმდეგ მიმართული „ეკონომიური სანქციების“ აზრს რომ განმარტავდა, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტი ენდ ტაიმს ჰერალდის“ ერთ-ერთი პომპობილველი წერდა: „პრეზიდენტი ვერ გაგზავნის ჯარებს კუბაში, თუ არ დაარღვია რიო-დე-ჟანეიროს ხელშეკრულება. გარდა ამისა, ჩვენ (ე. ი. შეერთებულმა შტატებმა) არ გიღიან ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის ქვეყნები ჩვენ დაგვეჭერენ მხარს თუ კასტროს“.

განიხილავდა რა ამავე საკითხს, „ეკონომისტი“ ხაზს უსვამდა, რომ „მთავრობა, რომელიც ხმას მისცემს კასტროს დაგმობას ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში, იმისა რისკს გასწევდა, რომ გამოიწვიოს ხალხის გაჯფრება თავის ქვეყანაში. რამდენადაც საქმე ასეთია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში გაგზავნონ თავის საჩივართა სია კასტროს მიმართ, რათა გაამართლოს კასტროს წინააღმდეგ ეკონომიური სანქციების ახალი ამერიკული პოლიტიკა“.

ამერიკის მმართველი წრეები იმედოვნებენ რომ თავიანთ შავბნელ ზრახვებს კუბელი ხალხის წინააღმდეგ განახორციელებენ ეკონომიური და პოლიტიკური ზეგავლენის საშუალებებით და ცდილობენ ამასთანავე შეინიღბონ თავიანთი პოლიტიკის აგრესიული არსი. პრეზიდენტ ეიზენჰაუერის განცხადებაში კუბის შაქრის კვოტის შემცირების შესახებ, მაგალითად, ნათქვამია, რომ ეს ვადაწყვეტილება თითქოს ნაკარნახევია შეერთებული შტატების „ეროვნული ინტერესების“ უზრუნველყოფისადმი მისწრაფებით.

ვაშინგტონი, 8 ივლისი. (საკდესი). „პირველი ნაბიჯი“ — ასე უწოდა 6 ივლისს პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თავის გადაწყვეტილებას ამერიკაში კუბის შაქრის მიწოდების შემცირების შესახებ, რითაც აქ მრავალი გამოხმაურება და კომენტარი გამოიწვია. კუბის წინააღმდეგ ეკონომიური აგრესიის ამ აქტმა კიდევ უფრო გაუხსნა ხელი ამერიკის შეერთებული შტატების იმ ძალებს, რომლებიც მუდამ მოითხოვდნენ კუბის ფიდელ კასტროს მთავრობის ძალით დამხობას. ახლა ეს ძალები აშკარად მოითხოვენ პირდაპირ სამხედრო აგრესიას კუბის წინააღმდეგ.

„ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ — დიდმნიშვნელოვნად აცხადებს მოწინავე სტატიაში „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“. ხოლო რადიოსადგურ „ნეიშნლ ბროდკასტინგ კორპორეიშნი“ თავის კომენტარებში მსჯელობს, თუ რამდენად მიზანშეწონილია გაიგზავნოს კუბაში „ამერიკის ინტერესების დასაცავად“ ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარის საექსპედიციო კორპუსი.

თეთრი სახლის გადაწყვეტილების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პროკურორთა ეროვნულმა ასოციაციამ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა სან-ფრანცისკოში განცხადება, რომელშიც პირდაპირ ნათქვამია, რომ შეერთებული შტატები მზად უნდა იყვნენ გასწორონ კუბის წინააღმდეგ ომის რისკი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ მსჯელობენ კუბის წინააღმდეგ სხვა „სანქციებზეც“. მაგალითად, ასოშიეიტედ პრესის საგაზეთოს კორესპონდენტი ჯონ ჰიტაუერი იუწყება, რომ „შეერთებული შტატები განიხილავენ ახალ ღონისძიებებს კუბაში კასტროს მთავრობის წინააღმდეგ“.

„სახელმწიფო დეპარტამენტში, — წერს იგი, — ახლა განიხილავენ, კერძოდ, შემდეგ ღონისძიებებს:

1. მიმართვა ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისადმი თხოვნით განახორციელონ შეთანხმებული მოქმედებანი კასტროს წინააღმდეგ...

2. შეერთებულ შტატებში კუბის შაქრის მოთავალი გაყიდვის შემდგომი შემცირება...

3. კონგრესის ახალი გადაწყვეტილება შაქრის კვოტის განაწილების შესახებ, რასაც შეიძლება მოჰყვეს კუბის მდგომარეობის ბახუწყვეტელი დასუსტება ამერიკის შაქრის ბაზარზე“.

ოფიციალური ვაშინგტონი ჯერჯერობით დუმს კუბის წინააღმდეგ თავისი შემდგომი ნაბიჯების შესახებ, თუმცა ამ საკითხს კვლავ აქტიურად იხილავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა კანონს „თავდაცვის“ ასიგნებათა შესახებ

ნიუ-იორკი, 8 ივლისი, (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგაზეთო კორესპონდენტი ვაშინგტონიდან იუწყება, გუშინ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა კანონპროექტს იმის შესახებ, რომ მომდინარე წელს ამერიკის შეიარაღებული ძალების შესანახავი ხარჯების გადასახდელად ასიგნებულ იქნას 39.996.608.000 დოლარი (თითქმის 700 მილიონი დოლარით მეტი, ვიდრე თვითონ მოითხოვდა); ეს თანხა შეადგენს დაახლოებით იმ სახსრების ნახევარს, რომელიც მთავრობა დახარჯავს.

ხელჩართული ბრძოლა რომის ქუჩებში

რომი, 7 ივლისი. (საკდესი). ასზე მეტი დაჭრილი, ხუთასზე მეტი დაპატიმრებული — ასეთია იტალიის პრესის ცნობებით იმ ხელჩართული ბრძოლის შედეგები, რომელიც გუშინ საღამოს პოლიციამ მოაწყო რომის ქუჩებში.

გუშინ საღამოს იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ფედერაციული საბჭოს ინიციატივით რომში უნდა გამართულიყო მასობრივი საპროტესტო მიტინგი იმის წინააღმდეგ, რომ ამ უკანასკნელ ხანს გახშირდა ფაშისტური პროვოკაციები. და რომ ნეოფაშისტები თავხედურად განიზრახავდნენ თავისი ყრილობა მოეწყოთ გენუაში. რომელმაც სახელი გაითქვა გმირული ანტიფაშისტური ბრძოლით მეორე მსოფლიო ომის წლებში.

საღამოს დაახლოებით 7 ათასი კაცი შეეკრიბა რომის წმინდა პაველის ტაძრის ჩიშკართან. ისინი აპირებდნენ გვირგვინებით შეემკოთ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა ძეგლები.

მიტინგის მონაწილეთ მოულოდნელად დაესხა თავს ცხენოსანი და მოტორიზებული პოლიცია. დაიწყო მშვიდობიანი დემონსტრანტების უმოწყალო ცემა-ტყეპა. პოლიციამ ცემა-ტყეპა ბანი ეხმარა. ყველას, ვინც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, სტაცებდნენ ხელს და საპატიმროში უბამდნენ მიათრევდნენ. დაპატიმრებულთა შორის არის პაოლომენტის რამდენიმე წევრი. ოცზე მეტი კაცი მიიყვანეს საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში, მათ შორის ორი დეპუტატი: სოციალისტი ბორგეზე და კომუნისტი ვალტერ აუდიზიო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს „პოლკოვნიკ ვალერიოს“ სახელით მეთაურობდა პარტიზანთა რაზმს, რომელმაც ტყვედ ჩაიგდო ფაშისტი დიქტატორი მუსოლინი.

პოლიციის ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოუწოდა იტალიის რკინიგზელებს მოაწყონ 24 საათის საერთო ეროვნული გაფიცვა, ავრეთვე მოუწოდა რომის და რომის პროვინციის მშრომელებს გამოაცხადონ 12 საათის საყოველთაო გაფიცვა.

ამერიკის „უ-2“ თვითმფრინავების ბაზა აქვთ ავსტრალიაში

კანბერა, 7 ივლისი. (საკდესი). ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა მენზიესმა გუშინ უარყო ცნობები იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები ავსტრალიის ტერიტორიას ქალაქ ალის სპრინგსის (ცენტრალური ავსტრალია) რაიონში იყენებენ ამერიკის „უ-2“ ტიპის სადაზვერვო თვითმფრინავთა ბაზისათვის. მენზიესმა განაცხადა, რომ ამერიკას ალის-სპრინგსის ბაზას მხოლოდ მეტეოროლოგიური დაკვირვებისათვის იყენებენ.

მაგრამ როგორც სიდნეის გაზეთი „დეილი მირორი“ აღნიშნავს, ალის-სპრინგსის მცხოვრებნი ამბობენ, რომ მათი ქალაქის ახლოს არის ამერიკის საიდუმლო ბაზა. არც ერთ სამოქალაქო პირს არ უშვებენ ამ ტერიტორიის ბაზაზე, თუმცა მას „მეტეოსადგური“ ეწოდება. გარდა ამისა, წერს „დეილი მირორი“, ბაზის შესასვლელთან არავითარი ფირნიში და ნიშანი არ არის, რომ ეს ნამდვილად მეტეოსადგურია. ქალაქ ალის-სპრინგსის მცხოვრებნი ამბობენ, განაგრძობს გაზეთი, რომ ბაზაზე არიან ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები, რომელნიც თანამშრომლობენ ავსტრალიის სამხედროსაპაერო ძალებთან. ყველა მფრინავს დადებული აქვს ფიცი, რომ არაფერი არ თქვან თავიანთ მუშაობაზე.

ა. ი. მიქოიანი შეხვდა ამერიკელ ტურისტთა ჯგუფს

7 ივლისს კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა მათი თხოვნით მიიღო ამერიკელ ტურისტთა დიდი ჯგუფი, რომლებიც ძოგზაურობენ საბჭოთა კავშირში. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები მთელი რიგი შტატებიდან: ბიზნესმენები, ფერმერები, მასწავლებლები, მწერლები, მეცნიერები, სტუდენტები და სხვები.

ჯგუფის ხელმძღვანელმა, ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, პროფესორმა ჯერომ დევისმა განაცხადა, რომ ისინი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ მშვიდობისა და კეთილი ნების მისიით. დევისმა მადლობა გადაიხადა სტუმართმოყვარეობისათვის და თქვა, რომ იგი, ისევე როგორც ჯგუფის სხვა წევრებიც, იბრძვის საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ხალხთა მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ამასთანავე დევისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ტურისტი იზიარებს სენატორ ფულბრაიტის მიერ გამოთქმულ ამერიკის შეერთებული შტატების იმ წრეების აზრს, რომლებიც გმობენ საბჭოთა კავშირში ამერიკის ჯაშუშური თვითმფრინავის შეგზავნას.

საუბრის დროს შეეხნენ მშვიდობიანი თანაარსებობის, საყოველთაო და სრული განიარაღების, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების საკითხებს.

ა. ი. მიქოიანმა დაწვრილებით უპასუხა მრავალ კითხვას, რომლებიც ამერიკელ ტურისტებს აინტერესებდათ. შეხვედრამ გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი, სრულიად საკავშირო აქციონერული საზოგადოების „ინტურისტის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ს. ს. ნიკიტინი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. ნ. კრილოვი. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ისლანდიაში გაემგზავრა

8 ივლისს მოსკოვიდან რეიკიავიკს ისლანდიის ალთინგის მოწვევით საპასუხო ვიზიტად გაფრინდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სამანდატო კომისიის წევრი ა. ი. სტრუევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ი. ი. დენეკინი, მ. კოშიბეკოვი, ა. ი. ლუზგინა, ვ. კ. ლუკსი, ი. ი. სტაფიჩუკი. (საკდესი).

საბჭოთა მეცნიერების ახალი წარმატება

საზღვარგარეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს იმას, რომ 5 ივლისს საბჭოთა კავშირში კოსმოსური სივრცის გამოსაკვლევად გაუშვეს ახალი სეროის მძლავრი მრავალსაფეხუროვანი მატარებელი რაკეტების პირველი რაკეტა.

ბერლინის ყველა დემოკრატიული გაზეთი იუწყება, რომ საბჭოთა რაკეტა წარმატებით გაუშვეს წყნარი ოკეანის რაიონში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ რაკეტის გაშვებით საბჭოთა კავშირმა დაიწყო კოსმოსური კვლევის ახალ სახეობათა მძლავრი მრავალსაფეხუროვანი მატარებელი რაკეტების გამოცდა.

ახალგაზრდობის გაზეთი „იუნგე ველტი“ ცნობაში საბჭოთა რაკეტის წარმატებითი გაშვების შესახებ ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირში დაწყებული გამოცდა ემსახურება „ადამიანის კოსმოსში გაფრენისათვის მზადების“ მიზნის. გაზეთები „დერ მორგენი“, „ნოიე �ტი“ და სხვები საკდესის ცნობიდან გამოჰყოფენ იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ რაკეტის ფრენა ზუსტად შეესაბამებოდა დასახულ პროგრამას.

ახალი მძლავრი კოსმოსური რაკეტების გამოცდის პროგრამის შესაბამისად, ხაზს უსვამს პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“, პირველმა საბჭოთა რაკეტამ გაიარა 13 ათასი კილომეტრი და მიაწია. „პირველმა საბჭოთა რაკეტამ მიაღწია“, „პირველი რაკეტა აღნიშნულ რაიონში მივიდა“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ საკდესის ცნობას პოლონური გაზეთები „ეოლნეე ვოლნოსეი“ და „ეიცე ვარშავი“. გაზეთი „ძენეკ ლუდოვი“ ერთმანეთს ადარებს საბჭოთა და ამერიკელ ტექნიკას. „ამერიკელ ტექნიკამ ამ წლის იანვარში ვერ ასრულა ამოცანა, ამ ზაფხულ-ბოლოს ეს ამოცანა ადვილად ასრულებს“.

ბულგარეთის ბანერი „ნოვა ბულგარია“ ამბობს, „ამ ბოლო ხანებში ამერიკელ ექსპერტებს ეგონათ, ეს ამოცანა ადვილად ასრულებ, ეს ამოცანა ადვილად ასრულებ“.

ბერლინის „ტაგეს სპეგელ“ — „ეს ამოცანა ადვილად ასრულებ“.

ბერლინის „ტაგეს სპეგელ“ — „ეს ამოცანა ადვილად ასრულებ“.

ბერლინის „ტაგეს სპეგელ“ — „ეს ამოცანა ადვილად ასრულებ“.

ინკიტის ტბასთან

ამ შვენიერი სანახავია ბიკვინთის კონცხზე ტბა ინკიტი. აქ ყოველდღიურად მრავალი დამსვენებელი მოდის, სეირნობს მის ნაპირზე ხეების ჩრდილში, თევზაობს...

ინკიტის ტბის ირგვლივ განლაგებულია გაგრის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის სავარგულები. ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე კი მოწყობილია მცურავი ფრინველის ფერმა. ინკიტის ტბის ამ მხარეს რომ გადახედოთ, პატარა დაბა გეგონებათ. აქ აშენდა ფრინველის სადგომები, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, სადაც მომვლელები ცხოვრობენ.

ფერმის მოვლა-პატრონობა ძირითადად მეურნეობის მოწინავე მუშის ა. ტიტარენკოს ოჯახს დაავალეს, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობა მის ქალიშვილს, კომკავშირელ ლ. ტიტარენკოს.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობაში ეს დარგი ხორცის წარმოების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გადაიქცა. ინკიტის ტბაზე 14 ათასზე მეტი თოვლივით თეთრი იხვია.

წელს ინკიტელებმა სახელმწიფოს 5.000 კილოგრამზე მეტი იხვის ხორცი ჩაბარეს, ხოლო წლის ბოლოდან კიდევ ჩაბარებენ 11 ათას ფრთა იხვს, რაც წონით 15.000 კილოგრამს გადააჭარბებს.

ფრინველის სანიმუშო მოვლილი ფერმაში სახელი გაითქვეს დებმა ლ. და გ. ტიტარენკოებმა, ვ. ზონნენკომ და ტ. ზოლოტარიოვამ. ისინი დაუღალავად შრომობენ და შესანიშნავ შედეგსაც აღწევენ.

ი. გოგბერიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: გაგრის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის იხვები ტბაზე. მარცხნივ მომვლელი გალინა ტიტარენკო.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

არგენტინის საჭადრაკო ტურნირი

გუენოს-აირესი, 8 ივლისი, (საკდესი). საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გუშინ გაიმართა მეთერთმეტე ტური.

უნციკერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მოუგო ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონს ფიშერს, ულმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — პახმანს (ჩეხოსლოვაკია), ევანსმა (ამერიკის შეერთებული შტატები) — ფოგელსანს (არგენტინა) და ტაიმანოვმა (სსრ კავშირი) — ელისკაზესს (არგენტინა).

ყაიმით დამთავრდა ვიქსლერ (არგენტინა) — როსეტოს (არგენტინა) და რეშევსკი (ამერიკის შეერთებული შტატები) — იცკოვის (იუგოსლავია) პარტიები.

გადაიდო ოლაფსონ (ისლანდია) — საბოს (უნგრეთი), კორჩნოი (სსრ კავშირი) — ბენკოს (ამერიკის შეერთებული შტატები) და ბასან (არგენტინა) — გლიგორიჩის (იუგოსლავია) პარტიები.

ვიქტორ კორჩნოიმ თავისი პარტია ბენკოს წინააღმდეგ გადადო დაახლოებით თანაბარ პოზიციაში და ამ შენგედრის ყველაზე მოსალოდნელი შედეგია ყაიმი.

თერთმეტი ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობა ასეთია: რეშევსკიმ, ფენდერკერმა და ევანსმა მოგაროვეს 7,5 ქულა. ულმანს აქვს 7 ქულა, კორჩნოის, ოლაფსონსა და საბოს — 6 ქულა 10-დან, ტაიმანოვსა და როსეტოს — 6 ქულა 11-დან.

ე. ე. ნაკაშიძე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ე. ე. ნაკაშიძემ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ინვოლუციური შიზოფრენიის კლინიკა-ფსიქოპათოლოგიის თავისებურებისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ე. ე. ნაკაშიძისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ამინდი

10 და 11 ივლისს ამინდის ბიუროს ცნობით, თითქმის მთელ საქართველოში ნალექები მოსალოდნელი არ არის, მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში შეიძლება ალაგ-ალაგ იყოს ხანმოკლე წვიმები და ელჭექი; ყველგან — ცვალებადი მოღრუბლულობა, სუსტი ქარი.

დასავლეთ საქართველოში ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით იქნება 15-20, დღისით 25-30 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 9-14, დღისით 17-22 გრ